განმარტებითი ბარათი

საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კონსტიტუციური კანონის პროექტის შესახებ:

ა.ა) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღების მიზეზი

2017 წლის 6 ოქტომბერს ვენეციის კომისიამ დაამტკიცა საბოლოო დასკვნა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით. ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნაში გამოთქმულია რამდენიმე რეკომენდაცია კანონპროექტთან დაკავშირებით. ვენეციის კომისიის პლენარულ სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ საპარლამენტო უმრავლესობის სახელით გამოთქვა ვენეციის კომისიის შესაბამისი რეკომენდაციების გაზიარებისთვის მზადყოფნა. საქართველოს კონსტიტუციაში აღნიშნული რეკომენდაციების ასახვა საჭიროებს „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ახალი კონსტიტუციური კანონის მიღებას.

ა.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია ვენეციის კომისიის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების ასახვა საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში.

ა.გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ძირითადი არსი

წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონის პროექტი ითვალისწინებს შემდეგ ცვლილებებს:

ა) საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-16 მუხლში „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციის შესაბამისად ზუსტდება რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციური საფუძვლები. კერძოდ, კანონპროექტი ითვალისწინებს ახალი რედაქციიდან სიტყვების – „სახელმწიფო უსაფრთხოება“, „დანაშაულის თავიდან აცილება“ და „მართლმსაჯულების განხორციელება“ ამოღებას;

ბ) კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციიდან ე. წ. ბონუსის სისტემის ამოღებას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის 37-ე მუხლის ახალი ვერსიის თანახმად, საპარლამენტო არჩევნებში ყველა მანდატი განაწილდება პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების პროპორციულად;

გ) ფართოვდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებები საარჩევნო ნორმებისა და არჩევნების არაკონსტიტუციურად ცნობასთან დაკავშირებით. კერძოდ, 3 თვით იზრდება შესაბამისი სარჩელის განხილვის ვადები. გარდა ამისა, უქმდება ჩანაწერი, რომლის

თანახმადაც, არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხს საკონსტიტუციო სასამართლო წყვეტს სიითი შემადგენლობის სრული თანხმობით;

დ) კონსტიტუციური კანონის პროექტის თანახმად, მომდევნო საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა, გარდა პოლიტიკური პარტიებისა, ექნებათ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო ბლოკებსაც.

გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში აისახება ტერმინოლოგიური ცვლილება. კერძოდ, 50-ე მუხლში ტერმინი „ხმოსანი“ იცვლება ტერმინით – „საარჩევნო კოლეგიის წევრი“.

ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება არ წარმოშობს დამატებით ხარჯებს.

ბ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება სახელმწიფოს არ აკისრებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კონსტიტუციური კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიღება არ განაპირობებს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კონსტიტუციური კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კონსტიტუციური კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას ან მისი ოდენობის ან ოდენობის განსაზღვრის პრინციპის ცვლილებას.

გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კონსტიტუციური კანონის პროექტი სრულად შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კონსტიტუციური კანონის პროექტი სრულად შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კონსტიტუციური კანონის პროექტი სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კონსტიტუციური კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში

კონსტიტუციური კანონის პროექტი მომზადდა საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ.

დ.ბ) კონსტიტუციური კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კონსტიტუციური კანონის პროექტს არ ერთვის მის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან ექსპერტის შეფასება.

ე) კონსტიტუციური კანონის პროექტის ავტორი:

კონსტიტუციური კანონის პროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: ირაკლი კობახიძე, თამარ ჩუგოშვილი, არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე.

ვ) კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციატორი:

კონსტიტუციური კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის 116 წევრი:

ირაკლი კობახიძე, თამარ ჩუგოშვილი, არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე, აკაკი ზოიძე, მარიამ ჯაში, გიორგი გაჩეჩილაძე, სიმონ ნოზაძე, თამარ ხულორდავა, ზვიად კვაჭანტირაძე, კახაბერ კუჭავა, გიორგი ვოლსკი, გიორგი კახიანი, რომან კაკულია, მიხეილ ყაველაშვილი, ირაკლი სესიაშვილი, სოფიო ქაცარავა, სვეტლანა კუდბა, გოგი მეშველიანი, გრიგოლ ლილუაშვილი, დავით სონღულაშვილი, ნინო წილოსანი, თეიმურაზ კოხრეიძე, ირაკლი (დაჩი) ბერაია, ბექა ნაცვლიშვილი, გიორგი ხატიძე, ანრი ოხანაშვილი, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, შოთა ხაბარელი, გურამ მაჭარაშვილი, რატი იონათამიშვილი, ალექსანდრე ქანთარია, გენადი მარგველაშვილი, ზაზა

ხუციშვილი, ეკა ბესელია, დიმიტრი ცქიტიშვილი, მახირ დარზიევი, ილია ნაკაშიძე, დიმიტრი მხეიძე, ისკო დასენი, ზვიად ძიძიგური, ნინო გოგუაძე, ალექსანდრე ერქვანია, ზაზა პაპუაშვილი, რუსლან გაჯიევი, გუგული მაღრაძე, იოსებ მაკრახიძე, სულხან მახათაძე, თეიმურაზ ჭკუასელი, ვიქტორ ჯაფარიძე, ენძელა მაჭავარიანი, რუსლან პოღოსიანი, ლერი ხაბელოვი, კობა ნაკაიძე, კობა კობალაძე, მუხრან ვახტანგაძე, ზაზა გაბუნია, ოთარ ჩრდილელი, პაატა კვიჟინაძე, გია ჟორჟოლიანი, ოთარ დანელია, ირაკლი ბერაია, გიგა ბუკია, თენგიზ ხუბულური, ანზორ ბოლქვაძე, დიმიტრი ხუნდაძე, გოჩა ენუქიძე, გელა სამხარაული, გოგა გულორდავა, ირაკლი მეზურნიშვილი, რევაზ არველაძე, კობა ლურსმანაშვილი, ლევან კობიაშვილი, გიორგი ბეგაძე, რომან მუჩიაშვილი, კობა ნარჩემაშვილი, სოფიო კილაძე, პაატა მხეიძე, სავალან მირზოევი, ივლიანე წულაია, ირაკლი შიოლაშვილი, თამაზ ნავერიანი, მერაბ ქვარაია, ირაკლი კოვზანაძე, ერეკლე ტრიპოლსკი, მირიან წიკლაური, ბიძინა გეგიძე, ირაკლი აბუსერიძე, ელგუჯა გოცირიძე, ზაქარია ქუცნაშვილი, ცოტნე ზურაბიანი, ირაკლი ხახუბია, შალვა კიკნაველიძე, გიორგი კოპაძე, დიმიტრი სამხარაძე, ლევან გოგიჩაიშვილი, გია ბენაშვილი, გრიგოლ მიქელაძე, ბექა ოდიშარია, კახაბერ ოქრიაშვილი, ედიშერ თოლორაია, გიორგი მოსიძე, კარლო კოპალიანი, გოდერძი ჩანქსელიანი, სალომე ზურაბიშვილი, ირინე ფრუიძე, ლევან ბეჟანიძე, ენზელ მკოიანი, გიორგი თოთლაძე, გედევან ფოფხაძე, ფატი ხალვაში, დავით ჭიჭინაძე, არჩილ ხაბაძე, სამველ მანუკიანი, შოთა შალელაშვილი.